

EEU- სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი



*დამტკიცებულია: უნივერსიტეტის რექტორის
2019 წლის 15 თებერვლის №11/01-08 ბრძანებით*

*განახლებულია: უნივერსიტეტის რექტორის 2020
წლის 23 ოქტომბრის № 28/01-01 ბრძანებით*

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში „სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი“ (შემდგომში – „წესი“) არეგულირებს სტუდენტების მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო, კულტურული, სპორტული პროექტების დასაფინანსებლად კონკურსის გამართვის, საპროექტო წინადადების შეფასების, გრანტის გაცემისა და შესრულების ანგარიშგების მონიტორინგის საკითხებს.
2. წინამდებარე წესის მიზანია, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებს შეუქმნას სამეცნიერო კვლევებისთვის სათანადო პირობები და მოტივაცია, მოხდეს ინტელექტუალური პოტენციალის მიზნობრივი გამოყენება, ამაღლდეს განათლების ხარისხი, გამოვლინდეს წარმატებული და ნიჭიერი სტუდენტები.
3. წესი შემუშავებულია უნივერსიტეტის დებულებებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

მუხლი 2. პროცესის ადმინისტრირება, მონაწილეობის პირობები, პროექტის შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები

1. უნივერსიტეტის მიზნების შესაბამისი სამეცნიერო, კულტურული, სპორტული პროექტების დაფინანსება ხდება უნივერსიტეტის ყოველწლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული შესაბამისი ფინანსური რესურსების ფარგლებში;
2. საპროექტო წინადადების განხილვის მიზნით, რექტორის ბრძანებით იქმნება **საკონკურსო კომისია**, რომელიც უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისგან;
3. მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობაში შესაძლებელია შედიოდეს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის მინიმუმ ერთი წარმომადგენელი (აკადემიური პერსონალი), სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი, განათლების დეპარტამენტის უფროსი; ასევე, სათათბირო ხმის უფლებით, კონკრეტული საკითხის თაობაზე კომპეტენტური აზრის დასაფიქსირებლად შესაძლებელია, მოწვეულ იქნეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი.
4. სტუდენტური პროექტის დაფინანსების წინადადებით კომისიას შესაძლებელია მიმართოს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტმა/სტუდენტთა ჯგუფებმა (ჯგუფის შემადგენლობაში გარდა აღმოსავლეთ

ევროპის უნივერსიტეტის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებისა, შესაძლებელია შედიოდეს ამავე უნივერსიტეტის კურსდამთავრებული);

5. ერთი სტუდენტური სამეცნიერო-კვლევითი პროექტისთვის უნივერსიტეტისგან მოთხოვნილი დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 5000 (ხუთი ათას) ლარს, ხოლო კულტურულ/სპორტული პროექტის შემთხვევაში - არ უნდა აღემატებოდეს 3000 (სამი ათას) ლარს. განსაკუთრებულ შემთხვევაში შესაძლებელია, ეს ზედა ზღვარი გაიზარდოს. შესაძლებელია თანადაფინანსების არსებობა;
6. საკონკურსოდ წარდგენილი პროექტის ხანგრძლივობა უნდა იყოს მინიმუმ 4 თვე, მაქსიმუმ - 12 თვე.
7. პროექტის ბიუჯეტში საგრანტო დაფინანსება შეიძლება ითვალისწინებდეს შემდეგ მუხლებს/ ხარჯვით კატეგორიებს:
 - 7.1. სტიპენდია – არ უნდა აღემატებოდეს 1500 ლარს;
 - 7.2. სასწავლო და კვლევითი პროცესის ტექნიკური აღჭურვის, ლაბორატორიული საშუალებების, საველე სამუშაოებისა ან/და ექსპედიციის ხარჯი;
 - 7.3. პროექტის მიზნებისათვის ხელმძღვანელთან შეთანხმებით საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის ხარჯი (კონფერენცია, კონგრესი, ვორქშოპი, სემინარი და სხვა);
 - 7.4. თემის მიზნებისათვის ხელმძღვანელთან შეთანხმებით უცხოეთში კვლევითი ვიზიტის ხარჯები;
 - 7.5. გრანტით დაუშვებელია ლეპტოპის, პლანშეტური კომპიუტერის, მობილური ტელეფონის, საოფისე პრინტერის და/ან სკანერის, კარტრიჯის, უწყვეტი კვების წყაროს და უძრავი ქონების შეძენა, უძრავი ქონების იჯარა, კაპიტალური რემონტი, სატრანსპორტო საშუალების შეძენა.
 - 7.6. საგრანტო დაფინანსება არ ითვალისწინებს პროექტში ჩართული სხვა პირების (სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, კონსულტანტი) შრომის ანაზღაურებას.
 - 7.7. პროექტის დასრულების შემდეგ გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება საკუთრებაში რჩება გრანტის მიმღებს.
8. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის წარდგენის უფლებამოსილ პირს უნდა ჰყავდეს ნაშრომის ხელმძღვანელი – (პროექტში ანაზღაურების გარეშე ჩართული) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, მოწვეული ლექტორი,

რომელიც აკადემიურ ხელმძღვანელობას უწევს სტუდენტის მიერ დაგეგმილ/განხორციელებულ კვლევას. კვლევითი ნაშრომის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს პროექტის შინაარსის შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება.

9. სასურველია, სამეცნიერო-კვლევითი პროექტის წარდგენის უფლებამოსილ პირს პროექტის განხორციელებისას ჰყავდეს კონსულტანტი (ანაზღაურების გარეშე), – დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება პროექტში აღწერილ კვლევის სფეროს. იმ შემთხვევაში, თუ პროექტი მულტიდისციპლინურია, კონსულტანტი შესაძლებელია იყოს სათანადო მომიჯნავე მიმართულებით მოღვაწე მეცნიერი.
10. პროექტის განსახორციელებლად შესაძლებელია უსასყიდლოდ გამოყენებულ იქნეს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბაზა.
11. სტუდენტს კონკურსზე შეუძლია წარადგინოს მხოლოდ ერთი პროექტი;
12. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ხარჯების გადარიცხვა განხორციელდება საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტრანშების სახით.
13. გრანტის მოგების შემთხვევაში სტუდენტს უნივერსიტეტისგან მოთხოვნილი თანხა ჩაერიცხება პირად, მიზნობრივ ანგარიშზე, რომელზეც არ დაირიცხება ბანკის მიერ სარგებელი და განხორციელდება ოპერაციები მხოლოდ პროექტის გრანტის ფარგლებში.
14. უნივერსიტეტი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.
15. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი შესაბამისი სამსახურების ჩართულობით უზრუნველყოფს:
 - ა) სტუდენტის მიერ პროექტის დაფინანსების მიზნით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და პროექტის შესრულების ანგარიშის ფორმების შემუშავებასა და დამტკიცებას;
 - ბ) რეგისტრირებული პროექტების ტექნიკურ ექსპერტიზას, რაც გულისხმობს წარმოდგენილი პროექტების დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენას ამ წესის მე-2 მუხლის მე-16 პუნქტით განსაზღვრულ წარმოსადგენ დოკუმენტაციასთან;
 - გ) პროექტის ავტორების ინფორმირებულობას ხარვეზების აღმოფხვრის საჭიროების შესახებ (ასეთის გამოვლენის შემთხვევაში);
 - დ) გამარჯვებული სტუდენტური პროექტების ავტორებთან ხელშეკრულების გაფორმებას, რომლითაც გაიწერება ურთიერთვალდებულებათა დეტალური პირობები;
16. საპროექტო წინადადების განსახილველად დოკუმენტაციის წარმოდგენა:

16.1. უნივერსიტეტის კანცელარიაში (ან ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე) უფლებამოსილი სუბიექტის მიერ პროექტის დაფინანსების მიზნით რექტორის სახელზე წარმოდგენილ უნდა იქნას CD-ზე ჩაწერილი შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება (დანართი 1);

ბ) სამეცნიერო-კვლევითი/კულტურული/სპორტული პროექტი (დანართი 2, პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს PDF ფორმატში, ხოლო ბიუჯეტის და მოთხოვნილი თანხის დასაბუთების ნაწილი (დანართი 3) და გეგმა-გრაფიკი (დანართი 4) – ექსელის ფორმატში,);

გ) კვლევითი პროექტისათვის უცხოელი კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხმობის წერილი პროექტში მონაწილეობის შესახებ. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;

ე) სტუდენტ(ებ)ის ავტობიოგრაფია (CV)

ვ) ცნობა სტუდენტ(ებ)ის სტატუსის შესახებ (PDF ფაილი);

ზ) ცნობა თანადაფინანსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში, დანართი 5);

16.2. წესით დადგენილი პირობების დარღვევით წარმოდგენილ დოკუმენტებს არ განიხილავს საკონკურსო კომისია;

17. პროექტების/აქტივობების შეფასება:

17.1. წარმოდგენილი სტუდენტური პროექტების/აქტივობების დაფინანსების საკითხის განიხილავს საკონკურსო კომისია.

17.2. სტუდენტური პროექტების შეფასების მიზნით თითოეული კომისიის წევრის მიერ სრულად ივსება შესაბამისი შეფასების ფორმა (იხ. დანართი 6); თითოეული პროექტის შეფასების საბოლოო ქულა წარმოადგენს კომისიის თითოეული წევრის მიერ პროექტისთვის მინიჭებულ ქულათა საშუალო არითმეტიკულს;

17.3. სამეცნიერო-კვლევითი პროექტი შეფასების კრიტერიუმებიდან (იხ. დანართი 6) თითოეული ფასდება მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 9 ქულით. ჯამური მაქსიმალური შეფასება არის 9 ქულა. კრიტერიუმებში ქულებით შეფასება განიმარტება შემდეგნაირად:

17.3.1 დაფინანსების მოსაპოვებლად აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა პროექტმა მიიღოს 8 ან მეტი ქულა.

17.3.2 თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება იმ პროექტს, რომელიც ჯამურად მაღალ ქულას დააგროვებს თანმიმდევრულად

პირველ, შემდგომ მეორე კრიტერიუმში. აღნიშნულ სამივე კრიტერიუმში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ნაკლები ბიუჯეტის მქონე პროექტს.

17.4 კულტურული/სპორტული პროექტის ჯამური მაქსიმალური შეფასება არის 100 ქულა.

17.4.1 დაფინანსების მოსაპოვებლად აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა პროექტმა მიიღოს 81 ან მეტი ქულა.

17.4.2 თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება იმ პროექტს, რომელიც ჯამურად მაღალ ქულას დააგროვებს თანმიმდევრულად პირველ, შემდგომ მეორე და მესამე კრიტერიუმში. აღნიშნულ სამივე კრიტერიუმში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ნაკლები ბიუჯეტის მქონე პროექტს.

17.5 საპროექტო წინადადებას კომისია განიხილავს განაცხადის წარდგენიდან მაქსიმუმ 20 სამუშაო დღის ვადაში და განმცხადებლისთვის გადაწყვეტილების შეტყობინება ხდება მისი მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

17.6 კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის არანაკლებ ნახევარზე მეტი. კომისია გადაწყვეტილებას იღებს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით;

17.7 კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არანაკლებ 3 სამუშაო დღის ვადაში წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად.

17.8 რექტორის მიერ პროექტის დამტკიცების შემდეგ პროექტში ცვლილებების შეტანა შესაძლებელი იქნება მხოლოდ კომისიის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში;

მუხლი 3. პროექტის შესრულების მონიტორინგი

1. გრანტის მიმღები ვალდებულია ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული ფორმების შესაბამისად უნივერსიტეტის საგრანტო კომისიას წარუდგინოს პროექტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამული აქტივობებისა და გაწეული ხარჯების დოკუმენტირებული ანგარიში. საგრანტო კომისია ახორციელებს დაფინანსებული პროექტების საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს, რომლის

დროსაც განიხილავს გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილ შუალედურ და საბოლოო ანგარიშებს და ადგენს შესაბამის განხილვის აქტს.

2. მონიტორინგი მოიცავს ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს:

2.1. ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში კომისიის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.

2.2. პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი შედეგების შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმებას „პროექტით განსაზღვრული კვლევის შედეგების ამსახველი მასალის“ შესაბამისად.

2.3. პროექტის ბოლო საანგარიშო პერიოდის მიმდინარეობისას ან მისი დასრულების შემდგომ 10 კალენდარული დღის განმავლობაში, არგუმენტირებული დასაბუთების წარმოდგენის შემთხვევაში, საგრანტო კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პროექტის ხანგრძლივობის მაქსიმუმ 1 წლით გაგრძელების შესახებ დამატებითი დაფინანსების გარეშე.

2.4. გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი შუალედური და საბოლოო ანგარიშების შემოწმების საფუძველზე მომზადებული განხილვის აქტები უნივერსიტეტის მიერ შესაძლოა გამოყენებულ იქნეს გრანტის მიმღების მიერ მომავალ საგრანტო კონკურსებში მონაწილეობისას წარდგენილი პროექტების შეფასებისას.

მუხლი 4. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება

1. გრანტის მიმღებმა არ შეასრულა საგრანტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ან/და ანგარიშში წარადგინა ყალბი ინფორმაცია.
2. გრანტის მიმღებმა მოთხოვნილი თანხა არამიზნობრივად გახარჯა;
3. არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი ხარჯი.

მუხლი 5. დამატებითი მოთხოვნები გრანტის მიმღებთა მიმართ

1. კვლევითი გრანტის მიმღები ვალდებულია, პროექტით გათვალისწინებული კვლევის მასალებზე დაყრდნობით გამოაქვეყნოს მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატია

მაგისტრანტის შემთხვევაში ადგილობრივ რეფერირებად და ციტირებად გამოცემებში, ხოლო დოქტორანტის შემთხვევაში საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემებში ან წარმოადგინოს ცნობა სტატიის გამოსაქვეყნებლად მიღების შესახებ.

2. საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგების ამსახველ პუბლიკაციებში (სტატია, საკონფერენციო აბსტრაქტი და ა.შ.) სავალდებულოა მითითებული იყოს, რომ კვლევა განხორციელდა „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მხარდაჭერით“ „This work was supported by East European University“ იმ შემთხვევაში, თუ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში არ იქნება ასახული ზემოაღნიშნული ინფორმაცია, წარმოდგენილი დოკუმენტი არ განიხილება უნივერსიტეტის სამეცნიერო ფონდის მიერ პროგრამული მონიტორინგის განხორციელებისას.
3. საგრანტო პროექტის ფარგლებში შექმნილ ვიზუალურ პროდუქციაზე (ნაბეჭდო, ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონულ პროდუქციაზე და ვებგვერდზე) სავალდებულოა განთავსდეს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ლოგო და მითითებული იყოს, რომ საგრანტო პროექტი განხორციელდა „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით“.

მუხლი 6. გარდამავალი დებულებანი

1. კომისიის საქმიანობის ის პროცედურული საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, შესაძლებელია, დადგინდეს უშუალოდ კომისიის მიერ (კომისიის წერილობითი გადაწყვეტილების სახით, რომელიც ექვემდებარება საჯარო გამოქვეყნებას);
2. პროექტები, რომლებიც არ საჭიროებენ უნივერსიტეტის მხრიდან დაფინანსებას, წერილობით მოთხოვნაში აღინიშნება, რომ შესაბამისი პროექტი უნივერსიტეტის მხრიდან დაფინანსებას არ საჭიროებს და რეალიზაციისთვის აუცილებელი სხვა რესურსებით უზრუნველყოფის საკითხს წყვეტს კომისია წინამდებარე დადგენილი წესისა და პროცედურების დაცვით შესაბამისი სტრუქტურული ერთეულ(ებ)ის რეკომენდაციის თანახმად;
3. საპროექტო წინადადება, რომელიც ითვალისწინებს სპორტული, სახელოვნებო თუ შემეცნებით სტუდენტური კლუბების შექმნასა და მხარდაჭერას, ამ წესის მე-2 მუხლის

მე-16 პუნქტით განსაზღვრული წარმოსადგენი დოკუმენტაციასთან ერთად აუცილებელი წინაპირობაა საპროექტო წინადადებაში დაფიქსირდეს კლუბის მისია, კლუბში სტუდენტური ჩართულობა და წლის სამოქმედო გეგმა, შედეგების შეფასების კრიტერიუმები;

3.1 ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე კომისია აფასებს კლუბების აქტივობების განვლილი წლის მანძილზე და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით აგრძელებს ან აუქმებს კლუბის ფუნქციონირებას.

3.2 კლუბი, რომელიც წლის მანძილზე ვერ უზრუნველყოფს მინიმუმ 4 ღონისძიების ორგანიზებას, გაუქმდება შესაბამისი აქტით კომისიის გადაწყვეტილებით და არ დაუფინანსდება პროექტები

მუხლი 7. წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

1. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტებისა და აქტივობების დაფინანსების წესში ცვლილებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.



დანართი 6 - საგრანტო პროექტის შეფასების სქემა - ფორმა და კრიტერიუმები

სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შეფასების სქემა – ფორმა და კრიტერიუმები

სტუდენტ(ებ)ის სახელი და გვარი	
პროექტის დასახელება:	
რეკომენდატორის სახელი და გვარი:	
მოთხოვნილი თანხა (GEL):	

კრიტერიუმების დასახელება	1	2	3	4	5	6	7	8	9	მინიმუმი 1 ქულა, მაქსიმუმი 9 ქულა
1 კვლევითი თემის/საკითხის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, პრობლემის ფორმულირება										
2 კვლევის მიზნები და ამოცანები										
3 კვლევის მეთოდოლოგია										
4 კვლევის მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან კვლევის შედეგების პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა და გავრცელების (დისემინაციის) გეგმა										
5 სტუდენტის აკადემიური პროგრესი										
6 სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კომპეტენციის შესაბამისობა კვლევის თემასთან										
7 პროექტის გეგმა-გრაფიკის (ეტაპების, ვადებისა და განხორციელების გზების) განხორციელებადობა და შესაბამისობა კვლევის მიზნებსა და ამოცანებთან										
8 პროექტის ბიუჯეტის შესაბამისობა კვლევის მიზნებსა და ამოცანებთან										
ჯამი:										
ქულების დიაპაზონი										
სუსტი								კარგი		
საშუალო										

1-3	4-7	8-9
-----	-----	-----

კრიტერიუმებში ქულებით შეფასების განმარტება

შეფასების ქულა	შეფასება	განმარტება
1	სრულიად შეუსაბამო	პროექტი არ პასუხობს ამ კონკრეტულ კრიტერიუმს, ან პროექტი ვერ ფასდება არასაკმარისი ინფორმაციის გამო.
2	ნაწილობრივ შეუსაბამო	პროექტი არაადეკვატურად პასუხობს ამ კონკრეტულ კრიტერიუმს, გართულებულია პროექტის შეფასება არასაკმარისი ინფორმაციის გამო.
3	სუსტი	პროექტი მცირედ პასუხობს, შეუსაბამოა ამ კონკრეტულ კრიტერიუმთან, შეინიშნება სერიოზული, არსებითი სუსტი მხარეები.
4	დამაკმაყოფილებელი	პროექტი ზოგადად პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ აქვს მნიშვნელოვანი უზუსტობები და სუსტი მხარეები.
5	საშუალო	პროექტი ზოგადად პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ დასაბუთება არაადაკმაყოფილებელია.
6	საკმაოდ კარგი	პროექტი მთლიანობაში პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ დასაბუთება არასაკმარისია.
7	კარგი	პროექტი კარგად პასუხობს კრიტერიუმს, დასაბუთება დამაკმაყოფილებელია, მაგრამ აუცილებელია გარკვეული გაუმჯობესება.
8	მაღიან კარგი	პროექტი მაღიან კარგად, ზუსტად პასუხობს კრიტერიუმს. არის ორიგინალური და აქვს მაღალი სამეცნიერო პოტენციალი, თუმცა შესაძლებელია გარკვეულწილად დახვეწა.
9	საუკეთესო	გამორჩეული, მაღალი სამეცნიერო პოტენციალის მქონე პროექტი, რომელიც საუკეთესოდ პასუხობს კრიტერიუმს.

შემფასებლის ხელმოწერა:	
-------------------------------	--

კულტურულ/სპორტული პროექტის შეფასების სქემა – ფორმა და კრიტერიუმები

სტუდენტ(ებ)ის სახელი და გვარი	
პროექტის დასახელება:	
რეკომენდატორის სახელი და გვარი:	
მოთხოვნილი თანხა (GEL):	

	პროექტის შეფასების კრიტერიუმები	ქულების დიაპაზონი	შეფასება	კომენტარი
1	პროექტის აღწერა - პროექტით განსაზღვრული ამოცანები და განხორციელების გზები ნათლად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული- რესურსები შეესაბამება პროექტის მიზანს	0-20		
2	პროექტის აქტუალობა - პროექტში ნათლად არის დასაბუთებული პროექტის აქტუალობა და მისი მიმართება უნივერსიტეტის მისიასთან	0-20		
3	პროექტის განხორციელების ვადები - რეალისტურად არის გაწერილი პროექტით შესასრულებელი ამოცანებისა და აქტივობების ხანგრძლიობა	0-10		
4	მოსალოდნელი შედეგები - შედეგები აღწერილია ნათლად და დეტალურად - შედეგების შეფასებისთვის მოცემულია კონკრეტული, გაზომვადი ინდიკატორები	0-15		
5	ბიუჯეტი - პროექტით გათვალისწინებული ხარჯები ნათლად, დეტალურად და რეალისტურად არის წარმოდგენილი - ბიუჯეტით გაწერილი ხარჯები შეესაბამება პროექტით გათვალისწინებულ საქმიანობებს	0-15		
6	კრეატიულობა - პროექტი კრეატიულია ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან მეტ კრიტერიუმთან მიმართებით.	0-20		

	ჯამი	100		
შემფასებლის ხელმოწერა:				